ეს უკანასკნელი ბოლოთსა სცემდა ოთახში და ხან და ხან ჩუმი და წყნარი ბარიტონით წამოიწყებდა ერთ და იმავე მოტივზე „რომელი ქერუმი მთას“. პირის სახეზე სერიოზული გამომეტყველება ეტყობოდა. ცხადი იყო, რომ რაღაც საყურადღებო ფიქრებს შეებყრო მისი გონება.

— მე რას მეკითხები საშა, უბძანე მოამზადონ, უპასუხა ცოლსა და ისევ აიარ-ჩაიარა დარბაზში. სასაღლო ითახში შემოვიდა შზარეული ქალი და დიასხლისის დახმარებით გაშალა სუფრა და დაალაგა წყობილება.

ბავშებმაც შესწყვიტეს თამაში და ჟივილ-კისკისით მოარბენინეს სტოლთან სკამები და ერთი ერთმანერთს ეცილებოდენ, თუ ვინ სად დამჯდარიყო.

III

გაიმართა ზომიერი გახშამი. სახლობა შემოუსხდა სტოლსა და წყნარი მუსაითითა და დაფაცურებით იკლავდა სიმშილას...

უეცრივ ვიღამაც დაარაკუნა მაგრად სამზარეულოს ერთ-ერთ სარკმელზე.

— ვინ მოუძულებია ღმერთს ასეთ ავდარში! წარმოსთქვა მ. ანდრიამ და ხელიდან კოვზი გააგდო. — მატრინა, გაუღე კარები და ჰკითხე, რა უნდათ! — უბრძანა მზარეულს ქალსა.

— უთუოდ წესის ასრულება ესაჭიროებათ! დაიწყო თავის მხრით ცოლმა. — საჩქაროც უნდა იყვეს, რომ ასეთ ავღარში მოსულან. არ გაცლიან და არა რიგიანაუ ვახშმობას.

შემოვიდა მზარეული ქალიც.

— თქვენ გკითხულობენ, მამაო!.. გალმიელები მოსულან წესის ასრულებისთვის... სეიმონია, ძმები ახლავთ და მუშები...

— გალმიელები? ელდა ნაცემივით წამოიძახა ცოლმა, — ვინაა, რომ ამ ავდარში და მერე კიდევ ღამით გავა მდინარეზე!..

ამასობაში მ. ანდრიამ სამზარეულოს კარებიც უჟალ.

სამზარეულოში ისხდნენ გრძელს სკამზე ნაცნობი მენავები. მაშინვე მიხვდებოდით, რომ სამზარეულოს სითბილე ძალიან გახარებოდათ, ხმა გაკმედილი იბნევდენ ფუფაიკების ღილებსა და სამზარეულოს მოწყობილებას ათვალიერებდენ. მზარეული ქალი ბუხრის ახლოს ფუთფუთებდა, ხან-და-ხან მხოლოდ მსუქასა და ზანტ კატას თუ შეტუქშიდა, როდესაც ეს უკანასკნელი სტოლზე და სკამებზე დალაგებულს შექამნდებს დაუწყებდა სუნვას.

მ. ანდრია შევიდა სამზარეულოში. გლეხები მაშინვე ფეხზე წამოდგნენ და რიგრიგად მივიღნენ ლოცვა-კურტევეის მისაღებად.

— რა დაგჭირვებიათ, ყმაშვილებო! თავაზიანათ ჰქითხა მ. ანდრიამ.

— თქვენთან გიახელით, მამაო, სათხოვარი გვაჭეს, — დაიწყო დაბალ-დაბალმა გლეხმა, რომელიც ნაობის დროს საჭეს შეართავდა.

— დედა გვიკვდება! გთხოვთ გახადოთ ღირსი ზიარებისა, გვიყავი იმდენი წყალობა, რომ უარს ნუ გვეტყვით.

ამ სიტყვებზე გლეხებმა თავი მოიხარეს მ. ანდრიას წინაშე.

— როგორ? „მათვეევნა“ ავად? ჰქითხა მ. ანდრიამ, — მე ის ვნახე ამას წინედ და კარგადაც იყო!

მ. ანდრია კარგად იწნობდა ამ ოჯახსა და კიდევაც უყვარდა ის.

— არ ვიცით სწორედ, როგორ იყო, მესამე დღეა, რაც ცუდად შეიქნა. ვკლებიო, იძახის... მომიყვანებ მოძღვარიო, — ეუბნებოდენ ერთ ხმად გლეხები.

— რა დაემართა მერე! ჰქითხა ისევ მ. ანდრიამ.

— არ ვიცით, რა დაემართა, ძევს კოლოტივით და კვნესის. აქაც კი მტკივა, აქაცაო, სჩივა. მთლად შებოჭილია, ექიმთან ვიყავით, მაგრამ იქ ვერ წა-მოვალ, ხომ ხედავთ რა ავი დარიაო, თითონ ის ჩამოიყვანეთ ჩემთანო, გვითხრა, თუ არ ვნახე, ისე ვერ უწამლებო. რა ბრძანებაა, განძრევა არ შეუძლია, და როგორ უნდა წაიყვანოთ. — გულდაშვილი ხმით ეუბნებოდა მესაჭე.

— ასე, მამაო, თქვენ ნულარ გვეტყვით უარს... სხვა არ იყვეს, მოხუცს დადევით ხათრი. საშინლად ეშინიან უზიარებლად სიკედილისა. ცოტა ხნისაც ალარ არის და ავადაც ძალიანაა... უსაშველოდ გვთხოვდა თქვენთან გამოგზავნას. მოძღვარი გულკეთილია, უარს არ იტყვის წამოსვლაზეო. ჩვენ ბეჭრი ველაპარაკეთ, დილამდის მოითმინე ბარემ, დედახემო-თქო, საშიშია დამით მგზავრობა... ხომ ხედავ მდინარე როგორ აღლდა-მეთქი...

— რა ჰქინით, მერე, ძნელი სამგზავრო იყო? გაწყვეტინა სიტყვა მ. ანდრიამ მესაჭეს.

— უხ, ისე ძნელი იყო, ისე ძნელი, რომ არ გამოითქმება.

მესაჭემ მხოლოდ თავი გაიქნივ-გამოიქნია, რაკი სიტყვით ვერ შეიძლო გამოხატა მთელი სიბნელე გამჭვინებულ მდინარეზე დამით მგზავრობისა.

მ. ანდრია დაჩუმდა და ჩაფიქრდა. დაჩუმდნენ გლეხებიც და თვალები ძირს ჩაჰკიდეს. — მხოლოდ ღრმ გამოშვებით ასწევდნენ თავსა და შებლვერდენ ღრმა ფიქრებით გატაცებულს მღვდელსა, რომელსაც სერიოზული გამომეტყველება, საშიშირი ბრძოლა უქროლაცდა პირის სახეზე. „წავიდე, თუ დავიცადო დილამდისო?“ ფიქრობდა ის და ერთ ჰაზრზედაც ვერ დამდგარიყო. წასვლაც საძნელო იყო და წაუსვლელობაც კი არ შეიძლებოდა. იქ მოუთმენლად მიელოდა მომაკვდავი დედა-ბერი.

ასე ორჭოფი ჰაზრით უბრძანა გლეხებს დამსხდარიყვენ და თითონ გამობრუნდა სასადილო ოთახში. კარებში შეეჩება ცოლი, რომელიც თურმე მთელ ღროს იქ მდგარიყო და ყური ეგდო მეთევზებთან ქმრის მუსაიფისთვის. ქალი მეტად იღელვებული იყო. ფერ მიხდილი პირის სახე ანთებოდა, ხელებით თვის მანდილს ჭმუჭნავდა.

— ნუ თუ ამელამვე წახვალ, მართლა? ჰქითხა ათრთოლებულმა, როდესაც საშარეულოს კარები მიიხურეს.

— ეს ხომ სისულელეა! ასეთ ავდარში წასვლა და მერმე კიდევ ღამით... რას ამბობ, რას! ლუიქრდი ღვთის გულისათვის... ორ თავიანი კი არა ხარ. ხომ ხედავ თითონ ისინი ამბობენ ძნელი სამგზავროაო. მე მგრნია არავინ დაგსჯის, რომ არ წახვიდე...

მ. ანდრია ხმას არ იღებდა. დაჩემებული შემოუჯდა სტოლსა და ხელში კოვზი აიღო. მაგრამ ჰატარა ხნის უკან ისევ გაუშვა ხელიდან. ეტყობოდა, რომ, თუმცა შესკერძოდა ცოლსა და ყურს უგდებდა მისს სიტყვებსა, მაგრამ ვერაფერს ვერ მიმხვდარიყო. პირის სახეზე ძრიელმა, აუტანელმა სულიერმა ბრძოლამ წამოუქროლა.

— რაც უნდა იყვეს, უნდა წავიდე! დაიწყო დაბოლოს. იქ „მათვეევნა“ მოუთმენლად მიელის,

— ნუ თუ მართლა ემზადები წასვლას? ამოიხერა ქალმა. — დაფიქრდი, დაფიქრდი...

— დიახ, უნდა წავიდე, თუმცა საძნელო კია! ჩაიღლაპარაკა მ. ანდრიამ. მართალია, ჩემს პირადს ბედნიერებას საფრხე მოელის, მაგრამ... იქ ნუგეშს მიელის მომაკვდავი დედა-კაცი, ჩვენი ვალია: პირადი ანგარიშები გავსწიროთ სამწყსოსათვის.

კოლი სულ ღელავდა და წამ და უწუმ რა-
ლაცას შელაპარაკებას აპირებდა

—არავინ არ გაგიმტყუნებს, რომ არ წახვიდე,—
დაიწყო როგორც იყო ქალმა.—ყველა მიხვდება,
რომ სიმხდალით კი არ მოსვლია, არამედ გონების
კეშმარიტს ხმას დამორჩილებიაო. შენი სიკოცხლე
უფრო ძვირფასია შენი ოჯახობისათვისაც და სამწყსო-
სათვისაც, ვინემ ერთი „მათვეევნას“ წადილისათვის.
ღმერთიც არ გიწყენს ამისათვის. მან უწყის, რომ
შენ ნახელმძღვანელევი იქნები კეთილ გონიერებით
და არა ავი მგზავრობის შიშით.

ქალი ლაპარაკობდა მეტი გრძნობითა, აკანკა-
ლებული ხმით და აღევლებული მიხვრა-მოხვრით...

—სვინდისი? ჰყითხა მ. ანდრიამა, და თავი
აიღო თევშიდვან,—ის რალას მეტყვის? რად მინდა
მე ხალხის მითქმა-მოთქმა, თუ სვინდისი მამხილებს.

ხმა თან და თან უმამა-მოდებოდა, და რალაც
მადლი ებადებოდა თვალებში. წამოდგა სკამიდგანაც.

—სვინდისი მეთქი? გეყითხები მე.—გაუმეორა
ქალსა,—სად უნდა გავექცე მის მხილებას? და ხომ
ის დამჯის, ეს ეჭვს გარეშეა. ღმერთმა ნუ ჰქმნას,
მაგრამ „მათვეევნა“ რომ უზირებლად მოკვდეს და
ეს ჩემი მიზეზით მოხდეს, მაშინ რალა უნდა უქმნა?..
მე მუდამ თვალ წინ მედგომება მაცვალებული და
წყნარად, მაგრამ საყვედურით დამიწყებს ცქერას: ეპ,
შენ, მართლ-მადიდებელო მოძღვარო—ამოვიყითხავ
მის თვალებში,—რომელიც დავალებული ხარ დასდო
სული თვისი ცხოვართათვის. რა იქმნა შენი მხურ-
ვალე და დაუინებული მოძღვრება ყოველს ქრისტი-
ანეს ვალდებულებაზე ქვეყნიურსა, ხრწნილებადასა,
და სწრაფ-წარმავალსა წინ დაუყენოს საუკუნო, ზე-
ციური ნეტარება ქრისტეს მიერ. სად არის ის ადა-
მიანური სიყვარული, რომელიც არაფერს არ უჟრავს
მეგობრისათვის, რომლის გვირგვინი თავის განწირება
მოყვასთათვის? სჩანს ყველა ესეები სიტყვები ყოფი-
ლა მხოლოდ? რაღად მიდიოდი ამის შემდეგ მლვდლოდ?
რად აიღეთ მხარზედ მძიმე ტვირთი—ცხოვნება
სამწყსოსა? რისთვის, რისთვის და რისთვის?

მ. ანდრია შესძახოდა კოლისა, მაგრამ ხედვით
ვერ ხედვიდა. ის გაიტაცა წარმოდგენილ სურათზე
ფიქრებმა. თვალები აენთენ, ხელები ზევით აიშვირ-
და ამ სახით თითქოს მადლით მოსილს წინაშარ-
მეტყველს წარმოადგენდა.

კოლი გაშტერებული ისმენდა მის გრძნობიერს
სიტყვებსა. მიუხედავად ასეთი სერითზული წუთოსა,
ის დასტრფა ქმრის ცქერითა: რა შშენიერი, რა
ძვირფასი წარმოუდგა ამ წუთში ის მას...

მ. ანდრია პირველად ჩაფიქრდა. შემდეგ, თით-
ქოს გამოიღვიძა, აიმართა და გარდაწყვეტილი
კილოით წარმოსთქვა „მივდივარო“.

კოლიც ისევ გამოირკვა, რადგანაც მხოლოდ
ერთ წუთსლა შეეძლო საშიში მდგომარეობის გადა-
ვიწყება. შიშისა და სიძნელის ხმამ ისევ ჩასძახა ყურ-
ში საოცარი სიმძაფრით. .

—რომ დაიხრჩო? მაშინ რალა მეშველება?
დაფიქრდი შენ წვრილი შვილები გყვანან. რა უნდა
ჰქმნან იმათ? გაოცებით ეკითხებოდა ქმრის გაბედუ-
ლებისაგან თავზარდაცემული ქალი.

—რაც მომივა, მომივა! ამის აცილება შეუძლე-
ბელია! უნებური შხიარულებით წარმოსთქვა მ. ან-
დრიამ.—მე ვახშმად მეტს აღარ დავიკდი. შენ, საშა,
რაღაც თბილი საცმელი მომიშადე, საშინელი სი-
ცივეა გარედ...

—მე მაინც არ მჯერა, რომ შენ ახლა წასვლა
გინდოდეს. შეესიტყვა ქალი, რომელსაც ხმაზე ტი-
რილი დაეტყო.

—ღმერთმა დაგვითაროს, მაგრამ რომ უეცრივ
დაიხრჩო, რაღა გვეშველება...

—ღმერთი მოწყალეა, არაფერი არ იქნება.
ხვალ შინ დაგბრუნდები უვნებლად .. უარის თქმა
კი, შენ თითონ იცი, შეულძლებელია. დედა-ბერი
მეტის-მეტად ერთგული იყო ეკელესისა, მეტის-მე-
ტი მორწმუნებ. მისთვის ეს უკანასკნელი ნუგეშია ამ
ქვეყნად. ხომ ხედავ, ექიმს უარი უთქვაშს წასვლაზე,
თუმცა ეს სვინიდისის წინააღმდეგია. ჩევენ კი,
მღვდლებს, უარის თქმა არ დაგვშვენდება. ჩევენ ყვე-
ლა გავიმტყუნებს, და ლვთის წინაშეც მოპასუხე
შევიქმნებით ამისათვის. როგორ დაიტანჯება ის,
როდესაც მელის და აღარ მივალ... ერთად-ერთი
ნუგეშილა დარჩენია ამ ქვეყნად! არა, შენ მომიტანე
ისევ საცმელი, და თბილად მომრთე სამგზავროდ.



სწორი და მეტნიერება ქრისტიანობის სამართლებას და კეთილგანვითარებას და გენერაციას, ზე

ხეა მოძღვრისა საშუალები *).

თავარი მოვალეობათა შესახებ.

მშობლების მოვალეობათა შესახებ.

ყოველი მშობელი ვალდებულია ასაზრდოოს თავისი შვილები, გაზარდოს იგინი, და თავის შეძლებისადაგვარად, დააბინაოს. ყოველივე ეს ზრუნვა შეეხება მარტო ჩვენს სხეულს. ხოლო ჩვენს შვილებს სხეულს გარდა აქვთ სული და თუ მშობლები ვალდებული არიან იზრუნონ თავიანთი შვილების სხეულზე, მით უმეტეს ვალდებული არიან იზრუნონ სულზე, ვინაიდგან ჩვენი სული უძვირფასესია სხეულზე. განა ჰეშმარიტი მშობელია ის დედ-მამა, რომელიც თავის შვილებს უარს ეუბნება საზრდოზე და არ ცდილობს დააკმაყოფილოს თავისი შვილების უსაჭიროები მოთხოვნილება? როგორი თვალით უნდა შევხედოთ იმ მშობელს, რომელიც არ ცდილობს თავისი შვილების სულის შესახებ, არა თუ არ იფარავს მათ დალუპვისაგან, პირიქით ხელს უწყობს მათ დალუპვას.

მაგრამ განა მოიპოებიან ქრისტიანეთა შორის ისეთი დედ-მამები, რომელნიც სრულიად არ ზრუნვადენ თავიანთი შვილების სულის შესახებ? არიან. ასეთ დედ-მამათა რიცხვი შეადგენს სამ მეოთხედს. სწორეთ სამ მეოთხედზე მომეტებულია მათი რიცხვი! მე არ ვიცი, თქვენც შეგინიშვნათ ეს სამწუხარო მოვლენა, თუ არა და მე კი ყოველივე ეს, რასაც ეხლა გეუბნებით, გამოცდილებით ვიცი და ჩემი საკუთარი თვალით მინახავს.

მშობლების აუცილებელ მოვალეობას შეადგენს, რათა მათ თავიანთ შვილებს ასწავლონ სარწმუნოება, გააგებინონ და შეასწავლონ იქსო ქრისტე, გაასწორონ მათი ნაკლულევანებანი, მოსპონ მათში ცუდი

მისწრაფებანი, მიაჩიონ ქველის საქმეებს, და ამბობავის საჭიროა, რომ პირველად მშობლები მორჩილენ კარგად, რომ კეთილი მაგალითი უჩვენონ შვილებსაც. ეხლა მითხარით, განა ბევრია ასეთი დედ-მამა?

მე აქ არ მოვიხსენებ მდიდრებს და წარჩინებულ პირთ, რომელნიც თავიანთი შვილების სწავლებას და აღზრდას სხვა პირთ ანდობენ. ჩემის ფიქრით ასეთი მშობლები ძლიერ დამანაშავენი არიან ღვთის წინაშე, რომ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას სხვას ანდობენ და არა სურთ, რომ თავისი თვალ ყური ადენტონ თავიანთ შვილების აღზრდის საქმეს. ამ პირებმა უნდა უწყოდენ, რომ ნაქირავები მასწავლებელი და აღმზრდელი უმეტესად იმას ცდილობენ, რომ მათდამი მიბარებულ ყმაწვილებს გადასცენ სხვა-და-სხვა ცოდნა, რომელმაც, შეიძლება, შემდეგში ამ ყმაწვილებს სარგებლობის მაგიერ დიდი ვნება მოუტანოს. ასეთი დაქირავებული აღმზრდელი სრულებით არ ზრუნავენ, რომ მათდამი მიბარებულ ყმაწვილებში განავითარონ ქრისტიანული ქველ-მოქმედებანი და კეთილი ცხოვრება. სწორეთ ასეთი აღზრდაა მიზეზი, რომ ჩვენი ახალ-თაობა უმეტესად გასათუთებულია და მუდამ უბრალო სადნებზე იყოლიებს თავს, და სიბოროტეს გარდა არაფერი არ იცის; ასე აღზრდილნი პირნი არც კი ფარვენ თავიანთ უსჯულოებას და გარყვნილებას; იგინი სრულებით აღარ ფიქრობენ, თუ რა არიან ჰეშმარიტება და კეთილი, პატიოსნება და სიბრძნე, თითქო მათ სრულებით დაუკარგავთ აზროვნების ნიჭი; იგინი ცოცხლობენ მარტო გრძნობებით და გრძნობათათვის, იგინი უფრო უსულო მანქანს ჰვენან, ვინემ გონიერ არსებას. ჩემის აზრით ასეთი აღზრდა უნდა იყოს მიზეზი, რომ დღეს ძვირად ვხედავთ კეთილ-შობილ პირთ, გარდა ამისა ცუდი აღზრდა სრულებით ლასცემს ზნეობას.

მე ჩემი საუბრით მოგმართავთ თქვენ, რომელნიც თვითონ ზრდით თქვენს შვილებს და მუდამ თვალ-წინა გყავსთ იგინი. მე თქვენ გკითხავთ: აძლევთ თუ არა თქვენს შვილებს სულიერ საზრდოს, რომელმაც უნდა აღზრდოს მათი სული, ე. ი. ასწავლით თუ არა მათ ყოველივე მას, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის? ცდილობთ თუ არა, რომ ასეთი სწავლა აბეჭდილო მათ ხსოვნაში, გონებასა და გულში? ამ მხრით, ვგონებ, თქვენი ზრუნვა იმით გამოიხატება, რომ თქვენ ასწავლით ხოლმე თქვენს

* იხილე „მწყემსი“ № 5, 1897 წ.

შვილებს რამდენიმე ლოცვას, რომელიც მათ არც კი ესმისთ და ან საიდან უნდა ესმოდესთ, როცა თვითონ თქვენ ხშირად არ გესმისთ უმეტესი ნაწილი ლოცვებისა?

ძველს აღთქმაში ვკითხულობთ, რომ უფალმა, უბრძანა რა თავის ხალხს შეიყვაროს იგი და ემსახუროს მასს, დაუმატა ეს დაუვიწყარი სიტყვებიც: და ასწავლიდე მათ (მცნებათა) შვილთა შენთა სახლსა შინა, მოგზაურობის, დაწოლის და ოლდგომის დროს (მეორე სჯულისა 6, 7). სწორეთ სასიამოენი სანახებია ოჯახის მამა, რომელიც ჯდის თავის შვილებში და ხელში უჭირავს დაბადება: მოდით, შვილნო ჩემნო, და დამიგდეთ ყური: აი დიდი წიგნი ქრისტიანეთა; აი წიგნი, რომლის წაკითხვა შეუძლიათ გაუნათლებელ და ნასწავლ პირთ. ამ წიგნიდამ თქვენ ისწავლით შეიყვაროთ ერთმანეთი; მოთმინებით აიტანთ სიცხეს, სიცივეს, შიმშილს, წყურვილს, სიშიშელეს, და ყოველივე მწუხარებას, რომელთაც კი მოგივლენთ თქვენ უფალი. ამ წიგნიდამ ისწავლით მორჩილებას, მოთმინებას და ყოველივე ქველის საქმეს. შეხედეთ იესო ქრისტეს, ჩვენ ყოვლად მოწყალე მაცხოვარს, რომელიც გაემსჭვალა ჯვარზე ჩვენი სიყვარულისა გამო. ჩვენმა ცოდვებმა მიიყვანეს ქრისტე იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც თქვენ ხედავთ მას. ამიტომ მოერიდეთ, შვილნო ჩემნო საყვარელნო, მოერიდეთ ცოდვებს, როგორც მტაცებელ მხეცს, რომელიც მზად არის გჩანთქას თქვენ. მოერიდეთ დიდების მოყვარებას, შურს, ცუდ სიტყვაობას მოტყუებას, სამარცვინო სიტყვებს და საქმეთა. შვილნო ჩემნო, მე მიყვარხართ თქვენ, და მხოლოდ თქვენივის ვცოცხალვარ და ვევედრები უფალსა, რომ მან დაგიფაროთ თქვენ მომაკვდინებელი ცოდვისაგან, რომელიც ჰკლავს თქვენს სულს და ჯვარს აცვამს იესო ქრისტეს.

რომ ბავშვებს ასე ველაპარაკებოდეთ, მაშინ ისინიც თვისი მხრით მოვცემენ მრავალ კითხვებს, რომელნიც შშობლების მხრით მოითხოვდა განმარტებას და ამ სახით თვით შშობლებიც შეიძენდენ სწავლას. მაგრამ ზოგიერთი შშობლები, საუბედუროდ, ღმერთზე კი არ ელაპარაკებიან შვილებს, არამედ სულ სხვა საგნებს ჩასჩიჩინებენ, და უმეტეს ოჯახში სრულიად ვერ გაიგონებთ იესოს სახელს, რომელი სახელიც მუდამ უნდა ადგესთ პირზე პატარა ყმაწვლებს, როგორც კი ისინი ლაპარაკს ისწავლიან.

გაუნათლებლობის მიზეზით ჩვენი შვილები ვარდებიან მრავალს ცოდვებში, ხოლო რომ ქრისტეს სწავლით განათლებულნი ყოფილიყვნენ ისინი, მაშინ კი ასცდებოდენ ამაებს. მათან და დედანო! თქვენ ამისათვის პასუხს იგებთ ღვთის წინაშე. თქვენ ღლუბავთ თქვენი შვილების სულს, როცა სტოვებთ მათ უსწავლელად. რითი შეგიძლიათ თავი გაიმართლოთ, როცა ამაში ანგარიშს მოგთხოვენ? ნუ თუ იტყვით, რომ თქვენც თვითონ გაუნათლებელნი იყვათ და ამიტომ არ შეგეძლოთ გესწავლებიათ შვილებისათვის, რაც არც თქვენ იკუდით. მაშ რაღა იცით, თუ თქვენი სარწმუნოებაც არ გაგეგებათ? მაშ რაღაზე დაბადეთ შვილები ქვეყანაზე, თუ მათ შესახებ ვერ აასრულებდით თქვენს პირდაპირ მოვალეობას? ნუ თუ საკმაო არ არის, რომ თქვენი გაუნათლებლობა გლუბავთ თქვენ? და თქვენ კი გინდათ, რომ თქვენთან ერთად სხვაებიც დაიღუპონ!

შეიძლება ამაზე მოგვიგონ: ჩვენ გყვანან სულიერნი მწყემსნი, რომელნიც ვალდებულნი არიან იქადაგონ და გვასწავლონ. ეს მართალია; ასეთი თავის გამართლება უფრო სასირცხოა თქვენთვის, ვინაიდგან თქვენ თვითონ პირველი მასწავლებელნი ხართ თქვენი შვილებსათვის. თუ კი მწყემსნი გყავთ, რატომ არ დაიარებით მათთან და არ სწავლობთ? არც თქვენ დადიხართ თქვენ სულიერ მწყემსთან და ხშირად თქვენ შვილებსაც უშლით იარონ მასთან; თქვენ თქვენს ნივთიერ ქონებაზე უფრო ზრუნავთ და ფიქრობთ, ვინემ თქვენი შვილების სულზე, აქ ურიგო არ იქნება მოვიყვანო იერებია წინასწარმეტველის სიტყვები, რომელნიც ცოტად-თუ ბევრად, შეგეხებიან თქვენ.

გშობელთა მეორე მოვალეობაა — ამხილონ, გაასწორონ, დასაჯონ შვილნი თვისნი და ამაების შესახებ მე მხოლოდ უნდა გისაყველუროთ თქვენ. მომიტევეთ, მოთმინებით მომისმინეთ და ნუ გეწყინებათ ჩემი მხილება, ვინაიდგან ამას მავალებს მე ჩემი სამსახური. მე იძულებული ვარ მოგთხორათ თქვენ არა სასიამოვნო ამბები, მაგრამ ამისი მიზეზი თქვენ თვითონა ხართ:

მე ძლიერ ცოტა ოჯახი ვიცი ისეთი, რომელ შიაც შვილებს ისე წვრთნიდენ, როგორც უნდა ზოგნი ასათუთებენ თავიანო შვილებს და ნებას აძლევენ ისე იცხოვრონ, როგორც უნდათ იმ იმედით, რომ ივინი ახალ-გაზრდები არიან და როცა მოიზრდებიან, ისე ჭკუაში შევლენო. მართალია, რაც

ბავშვები წლოგანობაში შევლენ, ისე დაჭიურანდებიან; მაგრამ ცუდი ლტოლვანი და ბოროტი ჩვეულებანი თუ პატარაობისასვე არ აღმოიფხვრენ ჩვენი შვილების გულიდან, შემდეგში ისინი თან-და-თან ძლიერდებიან, ფეხს მაგრად იდგმენ, და ბოლოს მათი მოსპობა შეუძლებელი რჩება. სანამ ხე პატარაა, იმისი მოღუნვა და გამართვა აღვილია. ერთი აბა მოინდომეთ დიდი ხის მოღუნვა და ინუ გამართვა. ასეთი ხის მოტეხა უფრო ადვილია, ვინემ მისი გასწორება. თქვენ ხშირათ უჩივით თქვენს შვილებს, რომ იგინი რაღაცა ბოროტები იბადებიანო. მაშა-სადამე ყოველთვის ღროა იმათი გასწორებისათვის. ნეტარი ავგუსტინი თავის აღსარებაში ამხი-ლებს თავის თავს ღვთის წინაშე იმ უწესო მოქმე-დებათათვის, რომელნიც აღიძრენ მის სულში, როცა ის ძიძასთან იზრდებოდა. მე ვიცნობდი ისეთ კაცთა, რომელნიც ნამდვილ ქრისტიანები იყვნენ, რომელ-ნიც სასტიკად სჯიდნენ შვილებს პატარაობილგანვე. მაგრამ ყოველ დღე ვხედავ ისეთ მშობლებსაც, რო-მელთაც სასაცინოდ არ ჰყოფნით და ძლიერაც უხარისათ ბავშვების ეშმაკობანი, და არ ახსოვთ, რომ ჩვენ დედის მუცლიდან თანგვაცება თესლი ყველა ცუდ ვნებათა და ამ მავნებელ ვნებათა მოსპობა სა-ჭიროა დასაწყისშივე.

ზოგი მშობელნი, მართალია, ასწორებენ და სჯიან თავიანთ შვილებს, მაგრამ რა სახით? ყოვე-ლივე ამაებს ასრულებენ ლანძღვა-გინებით. ეს გას-წორება ინუ დასჯა კი არ არის, არამედ წვალება. ასეთი კაცი მამა კი არაა, არამედ აღმასრულებელი სასჯელისა, ასეთი ქალი დედა კი არაა, არამედ გან-ცოცხებული ქალი; ესენი კაცი კი არაა, მხეცები არიან. ამაზე შენ გულ-გრილად მომიგებ: მე იმათი დასჯა ისე არ შემეძლო, თუ გული არ მომსვლოდა, თითქო ამ მოვალეობის აღსრულებისათვის საჭიროა უარ-ცყოთ ყველა მოვალეობანი, რომელთაც გავალებს შენ სიყვარული, სარწმუნოება და კაცობრიობა. რა წარმოდგება აქედან? ის, რომ შვილებს ან სრულე-ბით არ ეშინიათ შენი და ან თუ ეშინიათ, ეშინიათ მარტო ცემისა და შენი ყვირილისა. იმათ არ ერი-დებათ შენი წყენისა, მხოლოდ ეშინიათ, რომ ცე მონ: როცა ეს შიში გაიღის, ისინი ძლიერ ნაკ-ლებად ცდილობენ, რომ რაიმე უსიამოვნება არ მოგაყნონ.

როცა დედ-მამა სჯის შვილებს სარწმუნოების შეგულიანებით ინუ მშობლიური გრძნობით, იგინი

პირველად უსაყველურებენ შვილებს მათ ცუდ საქ-ციელს. როცა შვილები ურჩიბას და გაუგონდობას გამოიჩინენ, მაშინ პირველი აღმაღლებენ ხმას, მაგრამ კი არ ბრაზდებიან. სჯიან შვილებს, მაგრამ სასტიკად კი არა. „შვილო ჩემო! მე შენ გსჯი, ვინაიდგან შენ ეს დამსახურე, შენ მოიქმედე ბო-როტი: მართლ-მსაჯულება მოითხოვს, რომ შენ გა-მოსცადო ამ დამნაშაობის ცუდი შედეგი; იქმოდე ყოველთვის კეთილს და არას დროს არ იქნები და-ჯილი. მე რომ შენ არ მიყვარდე, მაშინ ნებას მოგ-ცემდი გეცხოვრა შენი სურკილისამებრ; მაგრამ მე შენ მიყვარხარ და ამისათვის გსჯი, რომ გასწორდე და შეიქნე პატიოსანი კაცი და კეთილი ქრისტიანე“ ბედნიერნი არიან შვილები, რომელთაც ასე ელაპარკებიან და ასე სჯიან! ვაი იმათ, რომელთაც უბრალო შენიშვნასაც არ აძლევენ. ნაცვლად იმისა, რომ ერთი ბიჭიერებისაგან დაიცვან, მშობლები თა-ვიანთი ცუდი მაგალითებით შვილებს აგდებენ მრა-ვალ ცუდ საქმეთა შინა.

მშობლების ცუდი მაგალითი უფრო მომეტე-ბულ ზარალს აძლევს მათ შვილებს, ვინემ ყველა მათი დარიგება და დასჯა. მშობლების ცუდი მაგა-ლითები მნიშვნელობას უკარგვენ ყოველივე მათ სასარგებლო დარიგებათა და დასჯათა. შენ არიგებ შენს შვილს, რომ მან ცუდი სიტყვები არ იხმაროს, და უხაყველურებ, როცა შენ ამას შენიშვნავ შენს შვილს; ამავე დროს შენს შვილს ესმის, რომ შენ წარა-მარა იგინები და სასაცინო უფრო ის არის, რომ შენ შენიშვნას აძლევ შენ შვილს ცუდი სიტყვე-ბისათვის, მაგრამ ამავე შენიშვნის დროს შენ უფრო საძაგელ სიტყვებს ხმარობ შენ უქადაგებ შენს შვილს ზორჩილებას და მოთმინებას—ეს ძლიერ კარგია. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ეს შენი შვილი ხელას, რომ შენ უწყრები დედა მის, ლანძღავ მო-სამსახურეს, ეჩხუბები მეზობლებს. შენ როგორ უნდა უთხრა შენს შვილს, რომ მთვრალობა და სამიკიტ-ნოებში სიარული ცუდია, როცა შენ თვითონ უმე-ტესი დრო სამიკიტნოებში ხარ და შინ ყოველთვის მთვრალი ბრუნდები? როგორ უნდა დარიგო შენ შენი შვილი, რომ მან მიუტეოს დამნაშაობა სხვას; როცა შენ მუდაშ სხვებს ემუქრები?

შენ, დედაო, თავს იქებ, რომ კარგი განათ-ლება მიეცი შენს ქალს, იგი მტკიცედ სდგას სარ-წმუნოებაზე და სხვა. ნეტავი ვიცოდე, როგორ ასწავლიდი შენ შენს ქალს მოყვასის სიყვარულს, როცა შენ მუდაშ სხვებს აუგებ და მუდაშ ეჩხუბები შენს მეზობლებს. მსურს ვიცოდე, როგორ ასწავლი-დი შენ შენს ქალს მორცხობას, სიმშვიდეს, უბი-

საქართველოს განმარტება

პირველი

გთხოვთ ასელის დღეს ხელმწიფური მცხოვარისა პარაკლისის გამთავეს შრავალ ემარტობით მისნებაზე მარტო ხელმწიფური მისნებადა რიგით, თუ არა, რომ მთელი სახლობა მოისცენონ ისე, როგორც სხვ პარაკლისებზე?

მაგება. არ არის რიგი და ამიტომ ტიპურიც არ უჩენს სხვათა მოსხენებას.

კითხვა. 17 ოკტომბერს საკვირველებრივი მცფის სახლობის გარდარჩენისა გამო პარაკლისის საველებელი ლოცვა მუხლ მოდრეკით უადა იქმავს წაკირხული, თუ როგორც სხვა ჩეცულებრივ პარაკლისებზე?

მაგება. უწინდესი სინოდის განჩინებით 20—21 სექტემბრიდან 1895 წლისა, № 2828 ამ დღეს პარაკლის უნდა იქმავს გარდახლილი სხვა ჩეცულებაზე ივი სამღლობელი პარაკლისისაჲმრ. მაშ. საღამე მუხლ მოდრეკით არ წაკირხება დაწესებული სავედრებელი ლოცვა მღვდლისაგან.

კითხვა. შეიძლება თუ არა ტრაქიზე დაცას მღვდლელმა კმილავა და მკერდის ჯარი?

მაგება. არკვევით არის განსაზღვრული ის ნივთები, რომელთა დალავება შეიძლება ტრაქიზე. კამ-ლავა არ არი ისეთი სამღლო ნივთა კუთვნილება, როგორიც არია მიღრა მღვდლელთ-მთაერისა. კამ-ლავა არ ის ჯილდო და არა საღმრთო შესამოსლის კუთვნილება. მასათვის არ შეიძლება კამილავკის დადგება ტრაქიზე წირვას დროს.

შ ი ნ ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: შორს ჩემან, არა მსურს ჩემი ვენახის ექიმობა!...—წერილი რედაქციისაღმი. —სასინანულო პოეზია (ლექსი). პანზევიდი ყვირილის ეკლესიაში განსვენებული 6. ჭავჭავაძის სულის მოსახლებლად.—ბიბლიოგრაფი. —ქართველი პატიმრების მდგომარეობა სახალიშში. —სარწმუნოება და სიყვარული (ლექსი). —მოვალეობა თუ სიუვარული?

სლავლა და გეოგრაფია ჩრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ჯეორგაზე: საუბარი მეოთხე, ხმა მოძღვრისა სამწყსოთადმი.

— საჭვალების განმარტება.

წოებას, როცა შენი ქალის წინაშე არა ერთ გზის გაგიმეორების შენი ახალ გაზღვობის ზოგიერთი ცოდვები, რომლებიც შენ მარტო ღვთის წინაშე უნდა აღგეარებია, რომ მიგელო ღვთისაგან შენდობა.

განა ამის შემდეგ დედ-მამათ უფლება აქვსთ უსაყვედურონ თავიანთ შვილებს, რომ მათი შვილები თავის-ნება, გაუგონარნი, ცუდ-ენოვანი, მოჩხუბარნი და მემთვრალები არიან, როცა შვილები სწორეთ იმ გზით ვლელან, რომლითაც მათი მშობელი? თქვენი შვილები სწორეთ იმას ჩადიან, რასაც თქვენ ჩადიოდით მათ თვალ-წინ; მათ ავიწყლებათ თქვენგან მიცემული დარიგებანი, ხოლო კარგად ახსოვთ თქვენი ყოფა-ჭკევა. ისინი შემოგცერიან თქვენ, თქვენ გბაძვენ, თქვენ გემსგავსებიან, თუ მათში არის რაიმე ბიწიერება, რომელიც თქვენ არა გაქვსთ და არც გქონიათ, ის იქიდან წარმოდგება, რომ თქვენ თავის დროზე არ დაგირიგებიათ თქვენი შვილები და არც ცდილობართ, რომ დასასყისშივე მოგესპოთ ეს ბიწიერებანი თქვენი ნორჩი შვილების გულში.

საჭიროა, რომ მშობლები დიდის გულ მოდგინებით შეუდგეთ თქვენი მოვალეობის აღსრულებას; საჭიროა დაარიგოთ და გაასწოროთ თქვენი შვილები და უმეტესად იზრუნოთ იმაზე, რომ მათ კა მაგალითები უჩვენოთ. თქვენ თქვენი სულით პასუხს აგებთ ღვთის წინაშე თქვენი შვილების სულის დაღუპვისათვის და თქვენი ცხოვნება შეუძლებელია, თუ საუბედუროთ, თქვენი შვილები თქვენი დამნაშაობით დაიღუნები. მე თქვენ ღამნაშაობათ ვსთვლი, როცა თქვენი შვილები არ იქნებიან რაიგიანად ნასწავლი, არ იქნენ გასწორებულნი, თუ თქვენში ვერ იხილვენ ჭველი საქმეების და კეთილი ცხოვრების მაგალითებს.

თქვენ თქვენი შვილებისათვის უნდა იქნეთ მფარველი ანგელოზები; წაიყვანეთ თქვენი შვილები სწორი გზით. ისე დაიცვით მათი სული, როგორც თვალის გუგა. ასწავლეთ მათ შეიგნონ ქრისტე და ეცადეთ, რომ ყოველ შეზოვებაში ესაუბროთ თქვენს შვილებს იქსო ქრისტეზე. ხშირად ესაუბრეთ თქვენს შვილებს იმ სამკვიდროზე, რომელიც ელისთ მათ ცათა შინა და არა იმ სამკვიდროზე, რომელსაც თქვენ დაუტევებთ მათ ამ ქვეყანაზე. მაშინ თქვენი შვილები, იქსო ქრისტის მაღლის შემწიდობით, აღიზრ დებიან სიბრძნეში, ამ ქვეყანაზე იგინი მოგანიჭებენ თქვენ ნუგეშს, ხოლო საუკუნო ნეტარების დროს იქნებიან თქვენი სიხარული და გვირგვინი, რომელიც მოგანიჭოთ თქვენ ღმერთმა. ამინ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 28 марта 1897 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елисеевъ.

Типог. редакции журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.